



**სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია
2025-2028**

სამეცნიერო კვლევის განვითარების სტრატეგია კომპლექსური და მუდმივად განახლებადი პროცესია, რომელიც მოითხოვს მოქნილობას და ადაპტაციას ცვლილებების და ახალი გამოწვევების პირობებში, სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის სწორად წარმართვისთვის საჭიროა სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლოა იყოს როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი და მოემსახურება ახალი ცოდნის შექმნას საზოგადოების სასიკეთოდ. მიზნები უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი და მიღწევადი.

სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგიული გეგმა (2021-2024) სამი ძირითადი სტრატეგიული მიზნისგან შედგებოდა: აკადემიური პერსონალის განვითარება; აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტის ინტერნაციონალიზაცია, და რეგიონული კვლევების მხარდაჭერა. ეს მიზნები არ კარგავს აქტუალობას და მუდმივი ზრუნვის საგანია.

წინამდებარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია (2025-2028) კი ფოკუსირებულია კვლევის განვითარების პროცესში იდენტიფიცირებულ და გასათვალისწინებელ ფაქტორებზე:

- დაწესებულებისთვის პრიორიტეტული და პერსპექტიული მიმართულებების/მიმართულებების განსაზღვრა;
- ფინანსური და ადამიანური რესურსების განსაზღვრა;
- პარტნიორობების და თანამშრომლობების ჩამოყალიბება და გაძლიერება როგორც აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან (უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები), ასევე თანამშრომლობა ბიზნეს სექტორთან, კერძო კომპანიებთან და საწარმოებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან კვლევის შედეგებით;
- თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან; მკვლევართა გაძლიერება კვლევითი პროექტების მართვაში;
- კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება და რეკომენდაციების გაცემა საჭიროებისამებრ;
- ინოვაციების და კომერციალიზაციის (გამოყენებითი კვლევები) მხარდაჭერა ახალი პროდუქტებისა და სერვისების შესაქმნელად;
- კვლევის შედეგების გავრცელება ფართო საზოგადოებაში.

სასწავლო უნივერსიტეტის კვლევის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავდა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობით (რექტორი,

ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი), სამეცნიერო განყოფილება, ხარისხის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, მკვლევართა ჯგუფი, “ჰორიზონტი ევროპა” საუნივერსიტეტო საგრანტო ოფისი, საერთაშორისო პროექტების/პროგრამების კოორდინატორი, რექტორის ბრძანებით შექმნილი კვლევების მხარდაჭერი სამუშაო ჯგუფი).

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია მოიცავს შემდეგ 4 სტრატეგიულ მიზანს:

1. ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა;
2. კვლევის ინტეგრირება სწავლაში;
3. კვლევითი ინფრასტრუქტურისა და მკვლევართა საქმიანობის გაძლიერება;
4. კვლევის შედეგების ხილვადობის გაზრდა და ღია მეცნიერების მხარდაჭერა.

1. ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა

ინტერდისციპლინური კვლევების მხარდაჭერის მექანიზმები მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ასევე ფინანსურ და ტექნოლოგიურ ასპექტებს.

სასწავლო უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს:

- მკვლევართა ჯგუფების და კონსორციუმების ჩამოყალიბებას, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა დისციპლინის მეცნიერებს;
- მკვლევართა ჩართულობას ინტერდისციპლინურ პროგრამებსა და კურსებში, რომლებიც გააძლიერებენ მკვლევართა საქმიანობას და განუვითარებენ ინტერდისციპლინურ უნარებს;
- მკვლევართა ჩართულობის გაზრდას ონლაინ, პირისპირ თუ ჰიბრიდულ ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებში;
- სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებში ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას;
- ახალგაზრდა მკვლევართა, მათ შორის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების, ჩართულობის გაზრდას სხვადასხვა ვორქშოფსა და ტრენინგში ინტერდისციპლინური მიდგომების შესახებ გამოცდილების მისაღებად;
- აკადემიური პერსონალის ინფორმირებას და ტექნიკურ მხარდაჭერას ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამების, მათ შორის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა “ჰორიზონტი ევროპა” ფარგლებში არსებულ შესაძლებლობებზე;
- ინტერდისციპლინური კონფერენციებისა თუ სემინარების ორგანიზებას;
- სხვადასხვა თანამშრომლობითი პლატფორმის, მათ შორის “ჰორიზონტი ევროპა” საბროკერო ღონისძიებების პლატფორმების უფრო აქტიურად გამოყენებას, რომლებიც ხელს უწყობენ კომუნიკაციას და თანამშრომლობას სხვადასხვა დისციპლინის მკვლევარებს შორის;

- პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებისას ინტერდისციპლინურ კვლევაში ჩართული მკვლევრების შეფასების მეტრიკის შექმნას, რომელიც ასახავს ამ ტიპის კვლევის გავლენას და წარმატებას;
- ინტერდისციპლინური კვლევის წარმატებული ისტორიების გაზიარებას აკადემიური პერსონალისთვის რათა წახალისონ სხვა მკვლევარები.
- ინტერდისციპლინური ინოვაციებისა და აღმოჩენებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;
- მკვლევართა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის/კოორდინირების, მათ შორის შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი პროექტების რაოდენობის ზრდა.

2. კვლევის ინტეგრირება სწავლაში

კვლევის ინტეგრირება სწავლაში წარმოადგენს ეფექტურ გზას სწავლის გასაუმჯობესებლად და სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებისა და საგნის უფრო ღრმა გაგებისთვის. კვლევითი უნარების განვითარება სტუდენტებს ხელს შეუწყობს მომავალი აკადემიური თუ პროფესიული კარიერის დაგეგმვისას.

სასწავლო უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს:

- კვლევაზე ორიენტირებული კურსების შემუშავებას, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურის პროგრამების ფარგლებში;
- საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევის შედეგების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში;
- კვლევაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვას, სადაც სტუდენტები სვამენ კითხვებს, იკვლევენ და ატარებენ კვლევას პასუხების მოსაძებნად.
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) კიდევ უფრო მეტად წახალისებას, რადგან ამ მიდგომის გამოყენებით სტუდენტები სწავლობენ რთული, რეალურ სამყაროში არსებული პრობლემების გადაჭრას კვლევისა და თანამშრომლობის გზით;
- მკვლევართა წახალისებას სტუდენტთა მენტორობაში კვლევითი პროექტების განხორციელებისას;
- სტუდენტთა წახალისებას კვლევითი პროექტების განხორციელებისას, რაც სტუდენტს მისცემს პრაქტიკულ გამოცდილებას;
- სტუდენტთა მონაწილეობას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა კვლევით პროექტებში;
- სტუდენტური კვლევითი ინიციატივების დაფინანსებას, უპირატესობა მიენიჭება ინტერდისციპლინური კვლევის ჩატარებას;
- სტუდენტთა მიერ უნივერსიტეტის ციფრული ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე წვდომას;
- წახალისოს სტუდენტთა მიერ ონლაინ თანამშრომლობის პლატფორმების გამოყენება, რათა სტუდენტებმა შეძლონ ერთად მუშაობა კვლევით პროექტებზე, გაუზიარონ რესურსები და მოახდინონ ეფექტური კომუნიკაცია;
- სტუდენტთა ჩართულობის გაზრდას კვლევით პროექტებში, კონფერენციებსა და ტრენინგებში, მათ შორის ქვეყნის გარეთ;

- სტუდენტთა კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნებას სტუდენტურ კვლევით ან სხვა ტიპის გამოცემებში;
- წახალისოს სტუდენტთა მიერ რეგიონისთვის არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე/პრობლემებზე კვლევის ჩატარება;
- სტუდენტებს კვლევითი პროექტის განხორციელებისთვის საჭირო პარტნიორობის ჩამოყალიბებაში ბიზნესთან/კერძო სექტორთან, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა განახორციელონ პროექტები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული გამოყენება;
- სამეცნიერო სამსახურის, კარიერის განვითარების ცენტრისა და “ჰორიზონტი ევროპა” საგრანტო ოფისის მიერ სატრენინგო მასალების მომზადებას სტუდენტთათვის, რომელიც სტუდენტებს დაეხმარება კვლევითი უნარების განვითარებაში.

3. კვლევითი ინფრასტრუქტურისა და მკვლევართა საქმიანობის გაძლიერება

კვლევის პროდუქტიულობის და კვლევის გარემოს გასაძლიერებლად უმნიშვნელოვანესია მკვლევართა კვლევის უნარების მუდმივი განვითარება და კვლევითი ინფრასტრუქტურის გაძლიერება, რომელიც მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას.

სასწავლო უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს:

- აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაზრდას კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ სემინარებსა თუ ტრენინგებში, რომელიც მოიცავს ხარისხობრივ და რაოდენობრივ კვლევის მეთოდებს, მონაცემთა ანალიზს, ლიტერატურის მიმოხილვის ტექნიკას და საგრანტო კვლევითი პროექტის წერას;
- აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაზრდას ვორქშოფებსა თუ პრაქტიკულ სამუშაოებში კვლევის განხორციელებისთვის საჭირო კონკრეტული უნარების, სტატისტიკური პროგრამული უზრუნველყოფის (მაგ., SPSS), ლაბორატორიული ტექნიკისა და სხვა სახის სამუშაოების მეთოდების, სხვ. საკითხებზე;
- კვლევის ეთიკისა თუ სხვა აუცილებელი რეგულაციების შესახებ უფრო მეტი ინფორმირებულობისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვას;
- ახალგაზრდა მკვლევართა და უფროს მკვლევართა ერთობლივ ჩართულობას კვლევითი პროექტის განხორციელებისას;
- მკვლევართა წახალისებას სტუდენტთა კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობისას ან მეტორობისას;
- კვლევითი ჯგუფებისა თუ კლუბების შექმნას, სადაც სტუდენტები და მკვლევარები ითანამშრომლებენ და გაუზიარებენ იდეებს, განსაკუთრებით წახალისებული იქნება ინტერდისციპლინური კვლევითი ჯგუფები;
- რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას, მათ შორის საბიბლიოთეკო და მონაცემთა ბაზები;
- კვლევითი საქმიანობისთვის ფინანსური უზრუნველყოფის გაზრდას;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების გაუმჯობესებას საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის გზით;

- რექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერი აქტივობების უფრო მეტად გააქტიურებას;
- ლაბორატორიების გაძლიერებას საჭირო აღჭურვილობით;
- ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებას, მათ შორის ციფრული თანამშრომლობის პლატფორმების გამრავალფეროვნებას, რომლებიც ხელს უწყობენ მკვლევარებს შორის თანამშრომლობას, მონაცემთა გაზიარებას და კომუნიკაციას;
- უნივერსიტეტში არსებული საგრანტო ოფისის კიდევ უფრო გაძლიერებას;
- შიდა დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდას;
- გაგრძელდეს საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და ვორქშოფების ჩატარება უნივერსიტეტის ორგანიზებით;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმების მოდიფიცირებას საჭიროებისამებრ.

4. კვლევის შედეგების ხილვადობის გაზრდა და ღია მეცნიერების მხარდაჭერა

ღია მეცნიერება და კვლევის ხილვადობა აუცილებელია სამეცნიერო კვლევის ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობისა და გავლენის გასაძლიერებლად.

სასწავლო უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს:

- მკვლევართა წახალისებას თავიანთი ნაშრომები გამოაქვეყნონ ღია წვდომის ჟურნალებში;
- მკვლევართა დაფინანსებას ღია წვდომის ჟურნალებში პუბლიკაციის გამოსაქვეყნებლად;
- ცნობიერების ამაღლებას ღია მეცნიერების პრინციპების (FAIR principles) შესახებ;
- მკვლევართა მიერ შექმნილი ღია საგანმანათლებლო რესურსების (OER), მათ შორის ლექციების ჩანაწერების, სახელმძღვანელოების და სხვა ტიპის მასალების, ღია ლიცენზიით განთავსებას;
- წახალისოს კვლევის დისემინაცია სხვადასხვა პლატფორმაზე დაბეჭდვამდე, ე.წ. Preprints ვერსია რათა მკვლევარმა მიიღოს უკუკავშირი კოლეგებისგან;
- მკვლევართა მიერ რეცენზირების (peer-review) პროცესში ჩართვის ხელშეწყობას;
- სოციალური მედიისა და აკადემიური ქსელების გამოყენების გაძლიერებას, როგორცაა researchgate, org; academia.edu; scholar.google.com; zenodo.org; sciprofile.com; publons.com; orcid.org
- ციფრული იდენტიფიკატორის, ORCID iD-ების უფრო აქტიურ გამოყენებას კვლევითი ნაშრომის ხილვადობის გასაუმჯობესებლად;
- ყველა კვლევითი ნაშრომისთვის ჰქონდეს ციფრული ობიექტების იდენტიფიკატორი (DOI) ციტირების გაუმჯობესებისთვის, მათ შორის უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო კრებულისა და სასწავლო უნივერსიტეტის ინიციატივით შექმნილი აკადემიური ჟურნალისთვის “სამართლის აქტუალური საკითხები”.
- სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულების, მონოგრაფიებისა და საკონფერენციო მასალების ელექტრონული ვერსიების განთავსებას

უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომების პორტალებზე www.journals.zssu.ge
და www.monographs.zssu.ge

- მკვლევართა მონაწილეობას ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, რათა გაიზარდოს ხილვადობა და შეიქმნას სამეცნიერო ქსელი სხვა მკვლევარებთან;
- მკვლევართა ჩართულობის გაზრდას სამეცნიერო აქტივობებში, საჯარო ლექციებში, სამეცნიერო პიკნიკებში, და სხვ.

დასკვნა:

ინოვაციებისა და საზოგადოების გამოწვევების გადასაჭრელად. კვლევითი შესაძლებლობების გაზრდით, ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ხელშეწყობით, კვლევის ხარისხის გაუმჯობესებით, მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფით და კვლევის სწავლებასთან ინტეგრირებით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, შექმნას ძლიერი კვლევითი ეკოსისტემა. ამ სტრატეგიებისა და საუკეთესო პრაქტიკის განხორციელება საშუალებას მისცემს, მიაღწიოს კვლევის მიზნებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში.